მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტსა

და

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს

შორის

ქ. თბილისი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი მისი რექტორის, კახაბერ კორძაიას სახით და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი მისი რექტორით, ერმილე მესხიას სახით, ხელმძღვანელობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებით, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი ხელს შეუწყობენ ერთობლივ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, ახალი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლების მეთოდების შემუშავებას, საგანმანათლებლო, კულტურულ გაცვლებს, სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოების ერთობლივ საქმიანობას, ახალგაზრდების დაახლოვებასა და მათ შეკრებებს.

მუხლი I

მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია მხარეთა მომავალი ურთიერთთანამშრომლობისათვის საფუძვლის ჩაყრა და მისი შემდგომი ხელშეწყობა; უნივერსიტეტებს შორის აკადემიური და საგანმანათლებლო ურთიერთობების გაღრმავება საერთო-კვლევითი ინტერესების საფუძველზე; ურთიერთობების ხელშეწყობა და ურთიერთგაგების ამაღლება მხარეებს შორის.

ამ ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში კავკასიის საერთაშორისო უნიერსიტეტი და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი ჩაერთვებიან ერთობლივი პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებაში, რაც მიმართულია სამეცნიერო-საგანმანათლებლო კვლევებისა და საქმიანობის პოპულარიზაციისკენ და ხელს უწყობს სტუდენტთა პროფესიულ განვითარებას.

მუხლი II

თანამშრომლობის სფეროები

ორივე მხარე იღებს ვალდებულებას:

2.1. განავითაროს აკადემიური თანამშრომლობა;

2.2. ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო საქმიანობაში გამოცდილებათა გაზიარებას;

2.3. ხელი შეუწყოს ურთიერთგაცვლით პროგრამების შემუშავებას;

2.4. ბოლონიის პროცესის საფუძველზე ორგანიზება გაუწიოს სტუდენტების მობილობას საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე;

2.5. ორგანიზება გაუკეთოს აკადემიური პერსონალის, მკვლევარების, სტუდენტების ურთიერთმოწვევას;

2.6. ხელი შეუწყოს პარტნიორ უნივერსიტეტის პროფესორების მიერ საჯარო ლექციების წაკითხვას;

2.7 თანადაფინანსება გაუწიოს სემინარებს, კურსებსა და სხვა აკადემიურ შეხვედრებს საერთო ინტერესის არსებობის შემთხვევაში;

2.8. ორგანიზება გაუწიოს პუბლიკაციებისა და სხვა სამეცნიერო მასალების ურთიერთგაცვლას ერთმანეთის სამეცნიერო ჟურნალებში;

2.9. ხელი შეუწყოს კვლევითი პროექტების შემუშავებას საერთო ინტერესების ფარგლებში;

2.10. შეიმუშავოს ორმაგი ხარისხის პროგრამები სწავლების სხვადასხვა საფეხურზე. დეტალები განიხილება მხარეთა ერთობლიობით და გათვალისწინებული იქნება ცალკეული დეპარტამენტის/ფაკულტეტის მოთხოვნები;

2.11. საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის სასწავლო და საწარმო პრაქტიკის გავლისათვის საჭირო ერთობლივი ობიექტების შერჩევაში დახმარებას;

2.12. გაცვლითი პროგრამების დროს აღიარონ დაგროვებული კრედიტები.

მუხლი III
ფინანსური მხარე

3.1. ორივე მხარე თანხმდება იმაზე, რომ თითოეული აქტივობა და გეგმა არის სამომავლო მოლაპარაკებების საგანი და დამოკიდებულია ამ საქმიანობისთვის ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობასთან;

3.2. ორივე მხარე თანხმდება, მოიძიოს ფინანსური მხარდაჭერა ნაციონალური და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან, რათა განხორციელდეს ის აქტივობები, რომლებიც ამ მემორანდუმით არის გათვალისწინებული.

მუხლი IV
მხარეთა უფლება-მოვალეობები

მხარეები იღებს ვალდებულებას:

4.1. დაგეგმილი ერთობლივი ღონისძიებების გასამართად უსასყიდლოდ გამოყოს უნივერსიტეტის კუთვნილი ფართი (აუდიტორიები, საგამოფენო და საკონფერენციო დარბაზები, სასწავლო, მატერიალურ-ტექნიკური, საინფორმაციო და სხვა რესურსები).

4.2. თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ჩაატაროს მიზანმიმართული, სპეციალიზებული კურსები.

4.3. განახორციელოს ერთობლივი სასწავლო ღონისძიებები წინასწარ შეთანხმებულ თემებზე.

4.4. ერთმანეთს გაუზიაროს მეცნიერული კვლევის შედეგები და ინფორმაციები.

4.5. უზრუნველყოს მემორანდუმის ფარგლებში პრეზენტაციებისა და შეხვედრების ორგანიზება.

მუხლი V

ინტელექტუალური საკუთრების უფლება და გამოყენება

5.1. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი მემორანდუმის ფარგლებში იზრუნებენ საავტორო უფლებების დაცვაზე.

5.2. ორივე მხარე წერილობითი სახით გამოაქვეყნებს დასკვნებს მემორანდუმის ფარგლებში განხორციელებული ერთობლივი კვლევების მონაცემების შესახებ.

5.3. ორივე მხარე დაიცავს ინტელექტუალურ საკუთრებას.

მუხლი VI

უთანხმოებების მოგვარება

ნებისმიერი განსხვავებული აზრი ამ მემორანდუმთან დაკავშირებით უნდა გადაწყდეს მშვიდობიანად, ორმხრივი კონსულტაციებისა და მოლაპარაკების შედეგად.

მუხლი VII

დასკვნითი ნაწილი

7.1. ურთიერთგაგების მემორანდუმი შესაძლოა, ჩასწორდეს მხოლოდ წერილობითი მიმართვის საფუძველზე, ორმხრივი თანხმობის შემთხვევაში.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 5 (ხუთი) წლის ვადით, რის შემდეგადაც იგი ავტომატურად განახლდება, თუ არ იქნება შეწყვეტილი ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით ან შეცვლილი ახალი მემორანდუმით.

7.3. ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს იმ შემთხვევაში, თუ ერთი მხარე 6 (ექვსი) თვითადრეშეატყობინებსმეორესმემორანდუმისშეწყვეტისთაობაზე.

7.4. მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ს/კ 201951637

მისამართი: ჩარგლის ქ. №73

0192, თბილისი, საქართველო

ტელ.: (+995 32) 261 10 06

ვებგვერდი: www.ciu.edu.ge

კახაბერ კორძაია

სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ს/კ

მისამართი: ლუკა ასათიანის ქ. №37

6004, ბათუმი, საქართველო

ტელ.: +995(422) 27-86-67; +995(422) 27-98-95; +995(422) 27-93-53

ვებ-გვერდი: www.batu.edu.ge

ერმილე მესხია